ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 128

ქ. ქუთაისი **30 სექტემბერი 2016 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“),წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ქემაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანია: ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" თანამშრომელთა (84 აღმზრდელი) გადამზადება თემაზე „სასკოლო მზაობის პროგრამა“;

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯეროვანი მიწოდება, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

2.4 კლასიფიკატორის კოდი – 80510000 - მომსახურებები სპეციალისტების მომზადების სფეროში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4872 (ოთხი ათას რვაას სამოცდათორმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მიმწოდებელი უნდა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ააიპ ბაგა-ბაღების თანამშრომელთა 84 აღმზრდელი) გადამზადება თემაზე „სასკოლო მზაობის პროგრამა“. გადამზადების პროგრამა შედგენილი და განხორციელებული უნდა იქნას ქართულ ენაზე და უნდა მოიცავდეს ცოდნის დონის ამაღლებას, აუცილებელ და სავალდებულო თეორიულ მასალას, წერით დავალებებს. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს თანამედროვე სტანდარტებს, მეთოდებს, ინსტრუქციებს, რეკომენდაციებს, ტერმინოლოგიებს.

4.2 სასწავლო პროგრამა უნდა შედგებოდეს თეორიული მასალისაგან (50%), პრაქტიკული სავარჯიშოებისაგან (30%) და სიტუაციური დავალებებისაგან (20%), ასევე სემინარების ვიზუალიზიისათვის სასურველია გამოყენებული იქნეს პრეზენტაციები.

4.3 სასწავლო კურსი უნდა დასრულდეს სასერტიფიკაციო გამოცდით და იმ პირებზე, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ აღნიშნულ გამოცდას, უნდა გაიცეს შესაბამისი სერტიფიკატი.

4.4 მიმწოდებელმაა უნდა უზრუნველყოს ყველა მონაწილესათვის სატრეინინგო მასალების მიწოდება და შესაბამისი ხელმძღვანელი რგოლისათვის ტესტირებისა და ტრენინგების შეფასების (Feedback) ფინალური ანგარიშის მომზადება.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ტრეინიგების პერიოდში კოფე - ბრეიკი, დღეში ერთხელ თითო ჯგუფზე.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 მომსახურების გაწევა (სალექციო კურსის ჩატარება) უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კალენდარული დღის განმავლობაში და დასრულდეს 2016 წლის 3 ოქტომბერს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. ,,მიმწოდებელი'' წარუდგენს ,,შემსყიდველს'' მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადებსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

6.2. ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს გაერთიანების დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;

8.1.2. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 3 (სამი) დღის ვადაში;

8.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.5.დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს ტრენინგისთვის შესაბამისი ფართის გამოყოფა;

8.2.2. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

8.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2.4 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა უფლება

9.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

9.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

9.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

9.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტისათვის დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
15.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
15.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
15.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.
16.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 1 (ერთი) პირი „შემსყიდველთან“.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი”
ააიპ „ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს/კოდი: 412675396
ა/ნ: ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი

ნანა ლორთქიფანიძე

„მიმწოდებელი”
შპს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 400052660
მის: ქ. თბილისი, ბორჯომის ქ. #10
ტელ: 593352800
ს/ს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE42 TB72 1373 6080 1000 02

დირექტორი

თამარ ქემაშვილი

დანართი №1

ფასების ცხრილი

	მომსახურების დასახელება	მსმენელთა რაოდენობა	ერთი მსმენელის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	5	6
1	ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" თანამშრომელთა (84 აღმზრდელი) გადამზადება თემაზე „სასკოლო მზაობის პროგრამა“	84 პერსონა	58	4872

შპს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრი“

თამარ ქემაშვილი

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. ქუთაისი 3 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ **შპს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრი“** , წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ქემაშვილის სახით („მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“, წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით („შემსყიდველი) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 30 სექტემბრის №128-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას“ მიაწოდა, საერთო ღირებულებით 4872 (ოთხი ათას რვაას სამოცდათორმეტი) ლარი.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

თამარ ქემაშვილი ნანა ლორთქიფანიძე